ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6324616

ნომერი: AR1946981

თარიღი : 30.01.2023

გაცემის თარიღი : 13.02.2023

გაცნობის თარიღი : 13.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 30 იანვარს №AR1946981 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 31

მაისის №5961393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისი, ნუცა ღოღობერიძის ქუჩა №9-ში მდებარე №01.14.12.003.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 31 მაისიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 28 ივნისის №6008051 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, კერძოდ საერთო, საცხოვრებელ და საზაფხულო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებით შეთანხმებული +6.96 და +10.54 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2022 წლის 14 ივნისის №AR1906437 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, განმარტავს, რომ -3.600 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ორ სხვადასხვა ავტოსადგომზე მითითებულია ერთი და იგივე ნომერი ,,№57“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სურს ,,a.2-a.3” ღერძებში და ,,a.D” ღერძის გარეთ მდებარე ავტოსადგომზე №57-ის ნაცვლად მითითებულ იქნას №57ა.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებით შეთანხმებულ -3.600 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს 58 შიდა ავტოსადგომი, თუმცა, აღნიშნულ გეგმაზე მდებარე ორ სხვადასხვა ავტოსადგომზე ტექნიკური შეცოდმის შედეგად მითითებულ იქნა ერთი და იგივე ნომერი ,,№57“. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ -3.600 ნიშნულის გეგმაზე ,,a.2-a.3” ღერძებში და ,,a.D” ღერძის გარეთ მდებარე ავტოსადგომზე №57-ის ნაცვლად მითითებულ იქნა №57ა.
შესაბამისად, -3.600 ნიშნულის გეგმაზე შესწორდა მხოლოდ ავტოსადგომების ნუმერაცია და რაოდენობა.
აღნიშნული გეგმა დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია -3.600 ნიშნულის გასწორებული გეგმის ჩანაცვლება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -3.600 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5961393 და სამსახურის 2022 წლის 28 ივნისის №6008051 ბრძანებებთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.